3

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2024 წლის 22 ნოემბრის
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 18

ქ. თერჯოლა

22 ნოემბერი 2024 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ეკა ბერძენიშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4.შალვა ჭანკვეტაძე, 5. ლაშა გურგენიძე, 6. იზა მაგრაქველიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. კობა კაცაძე, 9. ნინო მახათაძე, 10. მანუჩარ ფანჩულიძე, 11. ბადრი ბუცხრიკიძე, 12. ჯემალი ისაკაძე, 13. ელისო მურადაშვილი, 14. რუსუდან კოვზირიძე, 15. გრიგოლ გიორგაძე, 16. გოჩა ვერულაშვილი, 17. დავით გოგბერაშვილი, 18. როლანდი მესხი, 19. ივანე ჩუბინიძე, 20. ომარი ჯიხვაშვილი, 21. თემური ქოჩიაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1.რამინი რობაქიძე, 2.თამარი ახვლედიანი, 3. ფრიდონი გვენეტაძე, 4. დავითი ცხადაძე, 5.ნატალია ასათიანი, 6. კობა კირკიტაძე, 7. მერაბი ბასილაძე, 8. ტარიელ ფანჩულიძე, 9.კახა ბუცხრიკიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 21 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 13 ⁰⁰სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტისა დადგენილების პროექტის დამტკიცებისა და 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმეტის განხილვა (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282431711, 12.11.2024 წ.).

მომხს.: თ.ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის დადგენილების პროექტი - მუნიციპალიტეტის შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 20 500.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: საგადასახადო შემოსავლები - 17974.7 ათასი ლარით, გრანტები - 300.0 ათასი ლარით, არასაგადასახადო შემოსავლები - 1875.3 ათასი ლარით და შემოსავლები არაფინანსური აქტივების (კაპიტალური შემოსავლების) სახით 350.0 ათასი ლარის ოდენობით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსდება - 1420.0 ათასი ლარი.

დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 3000.0 ათასი ლარი.

განათლება - 6136.0 ათასი ლარი.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 2773.0 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა -1770.0 ათასი ლარი.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 2025 წელში განსაზღვრულია -5401.0 ათასი ლარით.

- თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო - 1175.0 ათასი ლარი;
- თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია - 4000.0 ათასი ლარი;
- სარეზერვო ფონდი - 100.0 ათასი ლარი;
- წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 1.0 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 95.0 ათასი ლარით.

- კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი - 20.0 ათასი ლარი.
- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა 10.0 ათასი ლარი (განმარტებითი ბარათი თან ახლავს).

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ წარმოადგინა შემდეგი შენიშვნები:

1. გაზრდილი იქნას ბუნებრივი რესურსების სარგებლობის მოსაკრებლები- 50,0 ათასი ლარით.
2. გაზრდილი იქნას დასახლებული ტერიტორიების დასუფთავების მოსაკრებლები- 50.0 ათასი ლარით.
3. გაზრდილი იქნას არაფინანსური აქტივებიდან შემოსავლები - 50.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დასვა თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის მერისათვის დაბრუნება.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -21 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: საკრებულოს სხდომასა და კომისიის სხდომებზე გამოთქმული შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საკრებულომ გადაწყვიტა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს დაუბრუნდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი